ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2026 წლის ____ მაისი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1.დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ" წესი თანახმად №1 დანართისა.

მუხლი2.დამტკიცდეს ბიზნეს გეგმის განაცხადის ფორმა თანახმად №2 დანართისა.

მუხლი3.დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 01/08/2024) განხორციელების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის N11 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01/08/2024წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016521).

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
დავით დარჩია

დანართი - #1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (შემდგომში–პროგრამა) განხორციელების წესი წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის **(პროგრამული კოდი 07.01.03)** განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს.

მუხლი 2. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:

ა) სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული პირების მხარდაჭერა;

ბ) იმ პირების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდასთან ;

გ) დასაქმების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპები

პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) თანასწორობა;

გ) საჯაროობა;

დ) მიუკერძოებლობა;

ე) კოლეგიურობა;

ვ) საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა.

მუხლი 4. პროგრამის კოორდინაცია

1. საკონკურსო პროგრამის კოორდინაციის, კონკურსის ორგანიზების და წესიდან გამომდინარე შეფასების საკითხებში პასუხისმგებელია ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკური განვითარების სამსახური", რომელსაც ევალება :

ა) კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, კონკურსში შემოსული განაცხადების შემოწმება, დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ბ) პროექტში მონაწილე ბენეფიციარებისათვის ინფორმაციის მიწოდება. (მათ მიერ ბიზნეს გეგმის განაცხადში წარმოდგენილ ელექტრონულ მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე)

მუხლი 5. პროგრამის საკონკურსო კომისია

1. პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადებიდან გამარჯვებული კანდიდატების შერჩევის მიზნით, იქმნება ,,საკონკურსო კომისია" (შემდგომში – კომისია).

2. ,,საკონკურსო კომისიის" შემადგენლობას (შერჩევის მიზნით) ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკური განვითარების სამსახურის" წარდგინებით წელიწადში ერთხელ ამტკიცებს მერი.

3. ,,საკონკურსო კომისიის" შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) მერის მოადგილე;

ბ) საკრებულოს წარმომადგენელ(ებ)ი;

გ) მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, მერიის ადმინისტრაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის და ეკონომიკური განვითარების სამსახურების წარმომადგენელ(ებ)ი;

მუხლი 6. პროგრამაში მონაწილეობის პირობები და პროგრამის ბენეფიციარი

1. პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ბიზნეს გეგმების კონკურსში მონაწილეობას იღებს ოზურგეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

ა) **18** (თვრამეტი) წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც პროექტის გამარჯვების შემთხვევაში წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან მეწარმე იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება;

ბ) ინდივიდუალური მეწარმე;

გ) მეწარმე იურიდიულ პირი.

2. ბიზნეს იდეის წარდგენა ასევე შეუძლია ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან/და მეწარმე იურიდიულ პირს, რომელიც არ არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, თუმცა, დაფინანსების შემთხვევაში, მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი სრულად განხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3. სავალდებულოა ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხა, მოთხოვნილი თანხის არანაკლებ **20 % -ისა.** (ოცი პროცენტი)

4. პროგრამის ბენეფიციარად (შემდგომში - ბენეფიციარი) ჩაითვლება ფიზიკური პირი, ინდივიდუალური ან მეწარმე იურიდიული პირი, რომელიც გადალახავს პროგრამის ბიზნეს გეგმების გადარჩევის ეტაპს ან /და გამარჯვებული პროექტის ავტორია.

5. პროგრამის ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს:

ა) საჯარო მოსამსახურე ან/და მისი ოჯახის წევრი (,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად);

ბ) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან/და მისი ოჯახის წევრი (,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად);

გ) ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ან/და მათი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებული პირი ან/და მისი ოჯახის წევრი (,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად).
დ) იდეის ავტორი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;
ე) პირი, რომელიც არის პროექტის გამარჯვებული ბენეფიციარი ან/და მისი ოჯახის წევრი, მომდევნო ზედიზედ **2**-ჯერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამის ფარგლებში .

მუხლი 7. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (პროგრამული კოდი **07. 01. 03**) .
2. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს **100, 000** (ასიათასი) ლარს .

მუხლი 8. პროგრამის განხორციელების ეტაპები

1. პროგრამა მოიცავს განხორციელების შემდეგ ეტაპებს:
ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება;
ბ) ბიზნეს გეგმების წარდგენა, გასაუბრება და შეფასება;
გ) გამარჯვებული პროექტების გამოცხადება;
დ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსება;
ე) გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი.

მუხლი 9. კონკურსის გამოცხადება

1. საგრანტო პროექტი ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში თანხის ამოწურვამდე.
2. ბიზნეს გეგმების წარმოსადგენად საჭირო ფორმა მტკიცდება ამ დადგენილების დანართი **#2**-ის მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. ბიზნეს გეგმების მიღება

1. ბიზნეს გეგმები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან **30** (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, როგორც მატერიალური სახით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში, ასევე ელექტრონული ფორმით, (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ელ. ფოსტის მისამართი-**meriaozurgeti2018@gmail.com**) დამტკიცებული ფორმის დანართი **#2** შესაბამისად.
2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის დავალებით, საინვესტიციო პროექტების განყოფილების ერთ წევრს ეკისრება პასუხიმგებლობა, მიიღოს მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში რეგისტრირებული ან/და ელექტრონული ვერსიით შემოსული განაცხადები და შემოსული განაცხადის ფორმის ტექნიკური ხარვეზის (საბაზისო მონაცემები) არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტებს აღმოუჩინოს შესაბამისი საინფორმაციო მხარდაჭერა და ხარვეზის აღმოსაფხვრელად

განუსაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს შეტყობინების მიწოდებიდან არაუმეტეს **3** (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 11. ბიზნეს გეგმების გადარჩევა

1. ბიზნეს გეგმების გადარჩევას უზრუნველყოფს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკური განვითარების სამსახური, საპროექტო განაცხადის შემოტანის ვადის დასრულებიდან არაუმეტეს **15** (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.
2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის დავალებით საინვესტიციო პროექტების განყოფილების ერთ წევრს ეკისრება პასუხიმგებლობა, მიიღოს მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში რეგისტრირებული ბიზნეს გეგმები და მოამზადოს ,,საკონკურსო კომისიისათვის" გადასაცემად.
3. ბიზნეს გეგმების გადარჩევის ძირითადი კრიტერიუმებია:

ა) ბიზნეს გეგმის ავტორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული **18** (თვრამეტი) წელს მიღწეული ფიზიკური პირია (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმე);

ბ) ბიზნეს გეგმის ავტორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული პირის წარმომადგენელია. მეწარმე იურიდიული პირის წლიური ბრუნვა არ აღემატება **100,000** (ასიათასი) ლარს;

გ) ბიზნეს გეგმის ავტორი ფიზიკური პირი, ინდივიდუალური მეწარმე ან/და მეწარმე იურიდიული პირია, რომელიც არ არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, თუმცა, დაფინანსების შემთხვევაში, მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი სრულად განხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

დ) განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება **15,000** (თხუთმეტი ათასი) ლარს;

ე) პროექტის ავტორი არ წარმოადგენს ამ დანართის მე-**6** მუხლის, მე-**5** პუნქტით განსაზღვრულ პირს;

ვ) სრულად არის შევსებული ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული ბიზნეს გეგმის ფორმა.

მუხლი 12. ბიზნეს გეგმების შეფასება

1. ბიზნეს გეგმების შეფასებას უზრუნველყოფს პროგრამის „საკონკურსო კომისია".
2. ბიზნეს გეგმების შეფასება შედგება ორი ეტაპისგან:

ა) ფორმალური შეფასება;

ბ) გასაუბრება.

3.გასაუბრებამდე ან გასაუბრების შემდგომი ეტაპი შესაძლებელია მოიცავდეს ადგილზე დათვალიერების შესაძლებლობას.

4.შეფასების მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა შეადგენს **100** (ასი) ქულას, რომელიც ნაწილდება შემდეგი წესით:

ა) ფორმალური შეფასება – მაქსიმალური ქულა – **40** (ორმოცი);

ბ) გასაუბრება – მაქსიმალური ქულა – **60** (სამოცი);

5. ბიზნეს გეგმების შეფასების ფორმა მტკიცდება ,,საკონკურსო კომისიის" წარდგინებით დანართი **№3**-ის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 13. გამარჯვებული პროექტების გამოცხადება

1. გამარჯვებული პროექტების შესახებ სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას იღებს და მერს წარუდგენს, ,,საკონკურსო კომისია", შეფასების პროცესის დასრულებიდან არაუმეტეს **10** (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
2. ,,საკონკურსო კომისიის" ყველა წევრი ავსებს ამ დადგენილების **№3** დანართით განსაზღვრულ შეფასების ფორმას და ყველა წევრის შეფასების ჯამური ქულის გათვალისწინებით დგება პროექტების რეიტინგული სია.
3) **40** (ორმოცი) ქულაზე ნაკლები შეფასების პროექტები არ დაფინანსდება
4) ბიზნეს გეგმები რომლებიც მიიღებენ **40** (ორმოცი) და მეტი შეფასებას, დაფინანსდება რეიტინგული სიის მიხედვით (მაღალი ქულიდან - ქვემოთ თანმიმდევრული პრინციპით) თანხის ამოწურვამდე.
5. გამარჯვებული პროექტის ავტორ ფიზიკურ პირს, გამარჯვებულად გამოცხადების მომენტიდან არაუმეტეს **5** (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან მეწარმე იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება.

მუხლი 14. ხელშეკრულების გაფორმების ეტაპამდე წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ბიზნესის განხორციელების ადგილის საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი (განახლებული მიმდინარე წლის მდგომარეობით) საჯარო რეესტრიდან ან/და ბიზნესის განხორციელების ადგილის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, დროებით სარგებლობის ფორმით მიღების დამადასტურებელი ხელშეკრულება, (იჯარის ხელშეკრულება და სხვა სახის დროებითი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ **5** (ხუთი) წლით.
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
3. თანამონაწილეობის თანხის შესახებ ცნობა/ამონაწერი კომერციული ბანკიდან გადასახადის გადამხდელი ინდივიდუალური მეწარმის ანგარიშზე თანხის არსებობის შესახებ;
4. საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა მოხდეს გრანტის თანხის ჩარიცხვა;
5. ცნობა იმის თაობაზე, რომ მეწარმე სუბიექტს წარმოდგენილ კომერციულ ბანკში არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება;
6. ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან;
7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის დეტალური საფუძვლ(ებ)ის შესახებ;

8. ბენეფიციარის მიერ, ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილ ბიზნესის განხორციელების ადგილზე, განხორციელებისათვის საჭირო სანებართვო დოკუმენტაციები შესაბამისი სამსახურებიდან (საჭიროების შემთხვევაში).
9. კომისიის მიერ მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრული სხვა საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია.
10. ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ვადა განისაზღვროს არაუმეტეს **10** (ათი) სამუშაო დღე.

მუხლი 15. პროექტების დაფინანსების წესი

1. პროგრამის გამარჯვებული პროექტის ავტორსა და მუნიციპალიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს და ითვალისწინებს გამარჯვებული ბენეფიციარის პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნულ ხელშეკრულებას და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი ან მერის პირველი მოადგილე.
ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან პროექტის დასრულების ვადა შეადგენს **1** (ერთი) წელს.
ბ) მიმდინარე წლის პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ერთი პროექტი და დაფინანსების მოცულობა შეადგენს არაუმეტეს **15,000** (თხუთმეტიათასი) ლარს.
2. ,,საკონკურსო კომისიის" გადაწყვეტილებით ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა შეიძლება დაფინანსდეს სრულად ან ნაწილობრივ.
ა) ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის თანხის/ბიუჯეტის კორექტირების შეთავაზების შეთანხმების შემთხვევაში არაუმეტეს **5** (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს კორექტირებული ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის კანცელარიაში მატერიალური ან ელექტრონული ფორმით (მუნიციპალიტეტის ელ. ფოსტის მისამართი - **meriaozurgeti2018@gmail.com**).
ბ) საგრანტო თანხა გაიცემა ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის ათვისების შემდეგ. ბენეფიციარმა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს **1** (ერთი) თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს მისი თანამონაწილეობის თანხის ხარჯვის დამადასტურებელი, (მოთხოვნილი თანხის ღირებულების არანაკლებ **20 %** (ოცი)) ყველა საჭირო დოკუმენტაცია.
3. გამარჯვებული პროექტის დაფინანსებისათვის გადაცემული თანხის ხარჯვის (გადარიცხვის) სრული დოკუმენტაციის წარმოდგენა ბენეფიციარის მიერ უნდა მოხდეს გრანტის თანხის ჩარიცხვიდან არაუმეტეს **2** (ორი) თვის ვადაში.
ა) ბენეფიციარის მიერ საგრანტო თანხის გამოყენება / გადარიცხვა დასაშვებია მხოლოდ იურიდიულ პირთან საქონლის ან მომსახურების შეძენის მიზნით. ფიზიკურ პირთან საგრანტო თანხით ანგარიშსწორება დაუშვებელია.
ა) აუთვისებელი თანხის არსებობის შემთხვევაში დარჩენილი თანხა ბრუნდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
ბ) მეორადი ნივთის შეძენის შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ: ხელშეკრულება / მიღება-ჩაბარება, თანხის ჩარიცხვის

დოკუმენტი (იურიდიულ პირთან) და ასევე ნივთის საგარანტიო არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით. (ნივთი უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში).

მუხლი 16. გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი

1. მონიტორინგის ფორმა და მონიტორინგის წევრების შემადგენლობა მტკიცდება მერის ბრძანებით.
2. მონიტორინგი ხორციელდება ბენეფიციართა საქმიანობის ეფექტიანობისა და გრანტით განსაზღვრული თანხის მიზნობრივი ხარჯვის დასადგენად.
3. პროგრამის მონიტორინგი განხორციელდება ბიზნეს გეგმის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ჩარიცხვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, არანაკლებ 2-ჯერ.

მუხლი 17. პროგრამის შეფასება

1. პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით ,,კომისიის" თავმჯდომარე ან/და ,,კომისიის" წევრი, შეიმუშავებს და ამტკიცებს პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ (დასაქმებულთა ოდენობა, წლიური შემოსავლის ზრდა), ისე თვისობრივ მაჩვენებლებს.
2. პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშს საკრებულოს წარუდგენს ,,კომისიის" თავმჯდომარე ან/და ,,კომისიის" წევრი, პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. საკრებულო აფასებს და ცნობად იღებს პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშს.

მუხლი 18. პროგრამის საინფორმაციო კამპანია

1. კონკურსის გამოცხადებამდე 2 (ორი) კვირით ადრე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საინფორმაციო კამპანიის განხორციელებას .

მუხლი 19. პროგრამის განხორციელების გამჭვირვალობის სტანდარტები

1. ,,საკოორდინაციო სამდივნოს" თავმჯდომარე ვალდებულია პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე უზრუნველყოს გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი.
2. პროგრამის ფარგლებში პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:
ა) პროგრამის განხორციელების წესი;
ბ) შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამა;
გ) პროგრამის შეფასების ანგარიში.
3. ინფორმაცია პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს იმგვარი ფორმით, რომ მისი გამოქვეყნების დროს დაცული იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაცია და კომერციული საიდუმლოება.

დანართი - #2

ბიზნეს გეგმის განაცხადის ფორმა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა "

1. პირადი მონაცემები

სახელი, გვარი:	---------- ---------- ---
სქესი:	☐ კაცი ☐ ქალი
პირადი ნომერი ან / და საიდენტიფიკაციო კოდი:	---------- ---
დაბადების წელი / თვე / რიცხვი	---------- ---------- ---------- ---
იურიდიული მისამართი: (რეგისტრაციის მისამართი)	---------- -
ფაქტობრივი მისამართი: (ფაქტობრივი მისამართი)	---------- -
ტელეფონი ნომერი: 1 ალტერნატიული ნომერი: 2	---------- ---------- --
ელექტრონული ფოსტა:	---------- -

2. ზოგადი ინფორმაცია ბიზნეს პროექტის შესახებ

ბიზნეს პროექტის დასახელება: (მაგ. სოფლის მეურნეობა, სამკერვალო, ტურისტული ობიექტ, და ა.შ.)	–––––––––––––––––––––––––––– –––––––––––––––––––––––––––––
განხორციელების ადგილი: (მიუთითეთ, ზუსტი მისამართი, სადაც აპირებთ პროექტის განხორციელებას)	–––––––––––––––––––––––––––– –––––––––––––––––––––––––––––
აღნიშნული ბიზნეს პროექტი არის:	☐ ახალი ☐ გაფართოებული
გჭირდებათ თუ არა საქმიანობაზე სპეციალური ნებართვა:	☐ არ მჭირდება ☐ მჭირდება და უკვე მაქვს ☐ მჭირდება და ვაპირებ აღებას
გაქვთ თუ არა რეგისტრირებული საქმიანობა და რა ფორმით ?	☐ არა ☐ დიახ ☐ ინდ.მეწარმე ☐ შპს ☐ სხვა ---------- (ჩაწერეთ)
ამჟამად რა საქმიანობას ეწევით ?	**ორგანიზაციის დასახელება:** ---------- ---------- **თანამდებობა:** ---------- ---------- **სხვა:** ---------- ----------

	----------

3. პროექტის აღწერილობა

გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პროექტის იდეა:

საქმიანობის სახე, რომლის დაწყებას ან გაფართოებას აპირებთ, პროდუქციისა და მომსახურების სახე, რომელსაც სთავაზობთ მომხმარებელს ;

რა წინაპირობები გაქვთ პროექტის განსახორციელებლად ?

(მაგ. მიწა, შენობა, ტექნიკა-დანადგარები, და ა.შ.)

---

4. პროექტისთვის საჭირო გამოცდილება და უნარები

გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ცოდნა და გამოცდილება პროექტით გათვალისწინებულ სფეროში:

---

5. *მარკეტინგის გეგმა:*

გთხოვთ, აღწეროთ პროექტის მარკეტინგის გეგმა:

1. სად გაყიდით თქვენს მიერ წარმოებულ პროდუქციას / მომსახურებას ?

---

2. ვინ იქნება სავარაუდო მომხმარებელი / მყიდველი ?

---

3. თუ გყავთ პოტენციური კონტრაქტორები, ვინ არიან ისინი ?

---

4. ვინ არიან თქვენი კონკურენტები და რით აჯობებთ მათ ?

---

5. როგორ მიიზიდავთ მომხმარებელს ?

---

6. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები

გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის მატერიალური საშუალებები (ტექნიკა-დანადგარები და სხვა ძირითადი საშუალებები), რის შემენასაც ითხოვთ პროექტის ფარგლებში და მიუთითოთ მათი სავარაუდო საბაზრო ღირებულება (ლარებში)

დასახელება: გრანტის თანხით შესაძენი საქონელი, დანადგარი, მასალა, ნედლეული და სხვ.)	**რაოდენობა** (ცალი, კგ, ლიტრი და ა.შ.)	**ერთეულის ფასი ლარში**	**საერთო ღირებულება ლარში**
ჯამი:			
საკუთარი თანამონაწილეობის თანხით შესაძენი: საქონელი, დანადგარი, მასალა, ნედლეული და სხვ.)	**რაოდენობა** (ცალი, კგ, ლიტრი და ა.შ.)	**ერთეულის ფასი ლარში**	**საერთო ღირებულება ლარში**
ჯამი:			

7. პროექტის ღირებულება

პროექტის საერთო ღირებულება ლარში	
მოთხოვნილი საგრანტო თანხა ლარში	
საკუთარი თანამონაწილეობა ლარში (მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 20 %)	

8. რისკის ფაქტორები

მოსალოდნელი რისკის ფაქტორები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის დაწყების, განხორციელებისა და განვითარების პროცესში და მათი შემცირების / თავიდან აცილების გზები: ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ----------

9. გრძელვადიანი გეგმები

სამომავლო გეგმები პროექტთან დაკავშირებით

---

10. დამატებითი ინფორმაცია

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

---

11. *ინფორმაციის სისწორის დადასტურება*

ქვემოთ ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაცია არის ზუსტი და შეესაბამება სიმართლეს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოთხოვნილი იქნას დამატებითი დოკუმენტაცია ან მონიტორინგის ჩატარება, ვაცნობიერებ, რომ არასწორი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შეთხვევაში, შესაძლებელია განაცხადი დარჩეს განუხილველი ან დაფინანსებაზე მეთქვას უარი .

პროექტის წარმდგენის სახელი და გვარი: (სრულად) ---------- ხელმოწერა: ----------	განაცხადის შევსების თარიღი: ----- --------- --------- წელი.

<u>შენიშვნა:</u> ბიზნეს გეგმის განაცხადის ფორმაში ყველა ველის შევსება სავალდებულოა .

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ “ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი : ხათუნა სურგულაძე

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი

1.ზოგადი ინფორმაცია და პროექტის მიზანი წინამდებარე პროექტის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აგრარულ სექტორში დასაქმებულ და თვითდასაქმებულ პირთა მხარდაჭერა. პროგრამა ორიენტირებულია მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე, რაც მიიღწევა ადგილობრივი წარმოების ზრდის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის გზით. პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალური პროგრამის მართვისა და დაფინანსების მექანიზმების ოპტიმიზაციას, რის გამოც იგი ცვლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის №11 დადგენილებას.

2.პროექტის სამართლებრივი საფუძვლები დადგენილების პროექტი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16, 24-ე და 61-ე მუხლებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 25-ე მუხლების საფუძველზე.

3.პროგრამის მართვა და განხორციელების არსი

ადმინისტრირება: პროგრამის კოორდინაციაზე, კონკურსის ორგანიზებასა და განაცხადების ტექნიკურ შემოწმებაზე პასუხისმგებელია **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური**.

დაფინანსების პარამეტრები: პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრულია **100,000 (ასი ათასი) ლარით**. ერთი ბენეფიციარისთვის გათვალისწინებული საგრანტო დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **15,000 (თხუთმეტი ათასი) ლარს**.

სავალდებულო თანამონაწილეობა: ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ფულადი თანამონაწილეობა მოთხოვნილი თანხის არანაკლებ **20%-ის** ოდენობით.

შეფასების მეთოდოლოგია: გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება 100-ქულიანი სისტემით, სადაც 40 ქულა ეთმობა ფორმალურ შეფასებას, ხოლო 60 ქულა – გასაუბრებას. დაფინანსების მისაღებად აუცილებელი მინიმალური ზღვარია **40 ქულა**.

4.ბენეფიციარები და პრიორიტეტები პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, ინდივიდუალურ მეწარმეებსა და იურიდიულ პირებს. დასაშვებია სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სუბიექტების მონაწილეობაც, იმ პირობით, რომ საპროექტო განაცხადი სრულად განხორციელდება **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე**. დაფინანსება გაიცემა რეიტინგული სიის მიხედვით, საბიუჯეტო ასიგნებების ამოწურვამდე.

5.მოსალოდნელი შედეგები პროგრამის იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეობის სტიმულირებას, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, მიზნობრივ ხარჯვას მკაცრი მონიტორინგის პირობებში.

6.დასკვნითი დებულებები დადგენილების ძალაში შესვლის მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის №11 დადგენილება

1.იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

2.არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

3.ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

4.განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

5.პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

7.ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

8.პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2026 წლის __.